საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia

თვის მიმოხილვა

2026

სარჩევი

ინფლაცია 3

საბანკო სექტორი 5

საგარეო სექტორი 7

სავალუტო ბაზარი 10

ფულადი ბაზარი 13

მონეტარული აგრეგატები 14

“თვის მიმოხილვა“
მომზადებულია საქართველოს ეროვნული ბანკის
მაკროეკონომიკისა და სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ

ყოველთვიური პუბლიკაცია

ISSN 1512-1259


ინფლაცია

ოქტომბერში წლიურმა ინფლაციამ 5.9% შეადგინა, ხოლო სექტემბერთან შედარებით ფასების საერთო დონემ 0.9%-ით მოიმატა.


მიმდინარე წელს ინფლაციის მატების მთავარი ფაქტორი მსოფლიოში და მათ შორის საქართველოში საწვავზე ფასების ზრდაა. აღნიშნული დინამიკა, პირველ რიგში, ჰორმუზის სრუტეში არსებული განგრძობადი დაძაბულობისა და მიწოდების ჯაჭვების შეფერხებების შედეგია, რამაც ნედლ ნავთობსა და ნავთობპროდუქტებზე ფასები გაზარდა.

რაც შეეხება შედარებით ხისტი ფასების საზომებს, საბაზო ინფლაციამ, რომელიც სამომხმარებლო კალათიდან მერყევ სურსათის, ენერგომატარებლების და სიგარეტის ფასებს გამორიცხავს, ოქტომბერში 3.9% შეადგინა, ხოლო მომსახურების ინფლაცია 4.0%-ს გაუტოლდა.

თვის ინფლაცია 0.9% (მნიშვნელოვანი წვლილები)



წლიური ინფლაცია 5.9% (მნიშვნელოვანი წვლილები)




წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშებები

გამწვავებული გეოპოლიტიკური ვითარების და ლოგისტიკური პრობლემების ფონზე ოქტომბერში საწვავის ფასებმა ზრდა განაგრძო, რამაც თვის ინფლაცია 0.33 პროცენტული პუნქტით (პპ) გაზარდა.


წლიური ინფლაციის ზრდაზე ყველაზე დიდი გავლენა ასევე საწვავის ფასებს აქვს. წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ბენზინისა და დიზელის ფასები, შესაბამისად, 37%-ით და 61%-ით გაიზარდა, რამაც მთლიან ინფლაციაზე ჯამურად 1.8 პპ-ის გავლენა მოახდინა. სურსათის გავლენა ინფლაციაზე წლის დასაწყისთან შედარებით მცირდება. ოქტომბერში სურსათის და უალკოჰოლო სასმელების ინფლაციამ 3.1%, ხოლო წვლილმა ინფლაციაში 1.1 პპ შეადგინა. აქედან გამოსარჩევი ძროხის ხორცის (0.4 პპ) და პურის (0.3 პპ) გაძვირებაა. სხვა პროდუქტებიდან აღსანიშნავია ელექტროენერგიის გადასახდელის (0.5 პპ) და ჯანდაცვის (0.7 პპ) წვლილები.

წლიურ ინფლაციაზე შემცირების მიმართულებით ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა უმაღლესი სასწავლებლის გადასახადის[1] (0.7 პპ) შემცირებამ მოახდინა. ამავდროულად, ხანგრძლივი მოხმარების საქონლის კატეგორიაში, საყოფაცხოვრებო ტექნიკის გაიაფების ხარჯზე, დეფლაციური ტენდენცია (0.1 პპ) ნარჩუნდება.

მთლიანი და საბაზო ინფლაცია



ჯგუფების წვლილი მთლიან ინფლაციაში




წყარო: საქსტატი

წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშებები


ოქტომბერში ადგილობრივად წარმოებული პროდუქტების წლიურმა ინფლაციამ 4.7% შეადგინა. ადგილობრივ ინფლაციაზე ყველაზე დიდი გავლენა პურის, ხორცისა და ბინის ქირის (ჯამში 2.6 პპ) ფასებს, ხოლო შემცირების მიმართულებით უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის გადასახადის (1.6 პპ) შემცირებას ჰქონდა. შერეულად წარმოებული პროდუქტების ინფლაციაში (4.7%) ყველაზე მნიშვნელოვანი წვლილი ელექტროენერგიის გადასახდელზე (1.8 პპ) მოდიოდა. იმპორტირებულმა ინფლაციამ 9.4% შეადგინა, რაც ძირითადად საწვავის ფასების გაძვირებით აიხსნება (7.3 პპ).

[1] სახელმწიფო უნივერსიტეტებში ჩარიცხული ახალი სტუდენტებისთვის სწავლის საფასურის სრულად გაუქმების შედეგად, უმაღლესი სასწავლებლის გადასახდელი ჯამში 33%-ით შემცირდა.

იმპორტული, შერეული და ადგილობრივად წარმოებული პროდუქტების ინფლაცია და მათი წვლილები მთლიან ინფლაციაში



წყარო: საქსტატი



წყარო: საქსტატი


ინფლაცია ჯგუფების მიხედვით	2026 წლის წონები	ოქტ26/სექ26		ოქტ26/ოქტ25	
		ინფლაცია	წვლილი	ინფლაცია	წვლილი
სულ	100.0%	0.9%	0.9%	5.9%	5.9%
სურსათი და უალკოჰოლო სასმელები	33.6%	0.0%	0.0%	3.1%	1.1%
სურსათი	30.8%	-0.1%	0.0%	3.3%	1.0%
პური და პურპროდუქტები	6.3%	-0.3%	0.0%	4.0%	0.2%
ხორცი და ხორცპროდუქტები	7.0%	-0.7%	-0.1%	7.6%	0.5%
თევზეული	0.5%	4.7%	0.0%	20.2%	0.1%
რძე, ყველი და კვერცხი	6.3%	-0.1%	0.0%	0.6%	0.0%
ზეთი და ცხიმი	2.7%	1.5%	0.0%	7.0%	0.2%
ხილი, ყურძენი	1.8%	-8.5%	-0.2%	-4.5%	-0.1%
ბოსტნეული, ბაღჩეული, კარტოფილის და სხვა ბოლქვოვანების ჩათვლით	3.0%	4.2%	0.1%	4.1%	0.1%
შაქარი, ჯემი, თაფლი, სიროფები, შოკოლადი, საკონდიტრო ნაწარმი	2.8%	0.5%	0.0%	-3.3%	-0.1%
კვების სხვა პროდუქტები	0.6%	0.7%	0.0%	1.2%	0.0%
უალკოჰოლო სასმელები	2.8%	1.1%	0.0%	0.9%	0.0%
ალკოჰოლური სასმელები და თამბაქო	6.6%	0.6%	0.0%	5.5%	0.4%
ტანსაცმელი და ფეხსაცმელი	4.3%	10.6%	0.4%	0.4%	0.0%
საცხოვრებელი სახლი, წყალი, ელექტროენერგია, აირი და სათბობის სხვა სახეები	9.7%	0.6%	0.1%	10.1%	1.0%
ავეჯი, საოჯახო ნივთები და მორთულობა, სახლის მოვლა-შეკეთება	5.0%	0.0%	0.0%	0.4%	0.0%
ჯანმრთელობის დაცვა	8.3%	0.4%	0.0%	8.4%	0.7%
ტრანსპორტი	11.4%	2.6%	0.3%	21.9%	2.5%
კავშირგაბმულობა	3.1%	0.3%	0.0%	-2.5%	-0.1%
დასვენება, გართობა და კულტურა	4.2%	-0.8%	0.0%	2.5%	0.1%
განათლება	5.3%	0.2%	0.0%	-12.0%	-0.5%
სასტუმროები, კაფეები და რესტორნები	3.3%	0.0%	0.0%	7.3%	0.2%
სხვადასხვა საქონელი და მომსახურება	5.1%	-0.1%	0.0%	8.0%	0.4%
ხანმოკლე მოხმარების საქონელი	59.8%	0.8%	0.5%	8.0%	4.8%
საშუალო ხანგრძლივობის მოხმარების საქონელი	7.9%	5.9%	0.4%	-0.1%	0.0%
ხანგრძლივი მოხმარების საქონელი	5.6%	-0.4%	0.0%	-1.6%	-0.1%
მომსახურება	26.7%	0.0%	0.0%	4.0%	1.1%

წყარო: საქსტატი

საბანკო სექტორი


სექტემბერში, საბანკო სექტორის სადეპოზიტო ვალდებულებები წლიურად 11.8 მლრდ ლარით გაიზარდა (გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით 20.5%-ით) და 77.4 მლრდ ლარი შეადგინა. თვის ჭრილში კი, იმავე მაჩვენებელმა 1.8 მლრდ ლარით მოიმატა (გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით 2.8%-ით). ეროვნული ვალუტის სადეპოზიტო ვალდებულებები წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 10.9 მლრდ ლარით (32.7%-ით), ხოლო წინა თვესთან შედარებით 1.2 მლრდ ლარით (2.8%-ით) გაიზარდა და 44.2 მლრდ ლარი შეადგინა. რაც შეეხება, უცხოური ვალუტის დეპოზიტებს, მისმა მოცულობამ წლიურად 1.0 მლრდ ლარით მოიმატა (გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით 7.9%-ით), ხოლო წინა თვესთან შედარებით, 0.6 მლრდ ლარით გაიზარდა (გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით 2.7%-ით) 33.3 მლრდ ლარის ეკვივალენტამდე.

სადეპოზიტო ვალდებულებები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


სადეპოზიტო ვალდებულებები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


სექტემბერში, მთლიანი დეპოზიტების საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთები (მთავრობის დეპოზიტებზე არსებული საპროცენტო განაკვეთების გარეშე), წინა თვესთან შედარებით 0.2 პპ-ით გაიზარდა და 5.5% შეადგინა. ეროვნული ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთიც გაზრდილია 0.1 პპ-ით და 7.0%-ს შეადგენს, ხოლო უცხოური ვალუტით დენომინირებულ დეპოზიტებზეც საშუალო შეწონილი წლიური საპროცენტო განაკვეთი 0.1 პპ-ით, 1.6%-მდე, გაიზარდა. რეზიდენტი შინამეურნეობების ლარის ვადიანი დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები კი 0.1 პპ-ით 9.4%-მდე გაიზარდა, ხოლო აშშ დოლარით განთავსებული ვადიანი დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთმა 0.1 პპ -ით, 2.4%-მდე მოიმატა. მეორე მხრივ, ევროს ვადიანი დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთი დაახლოებით 0.2 პპ-ით, 1.4%-მდე შემცირდა.

დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები (მთავრობის გარეშე, ნაკადი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


რეზიდენტების ვადიანი დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები ვალუტების მიხედვით (ნაკადი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


დეპოზიტების დოლარიზაცია სექტემბერში 43.0%-ზე შენარჩუნდა. სექტემბრის ბოლოს ფიზიკური პირების დეპოზიტების დოლარიზაცია 0.1 პპ-ით შემცირდა და 57.5% შეადგინა, ხოლო იურიდიული პირების დეპოზიტების დოლარიზაცია 0.2 პპ-ით გაიზარდა და 34.1%-ს მიაღწია. ამასთან, ფიზიკური პირების ვადიანი დეპოზიტების დოლარიზაცია, სექტემბერში, წინა თვესთან შედარებით, 0.5 პპ-ით, 51.3%-მდე შემცირდა.

დეპოზიტების დოლარიზაცია (კურსის ეფექტის გამორიცხვით)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


ფიზიკური პირების ვადიანი დეპოზიტების დოლარიზაცია (კურსის ეფექტის გამორიცხვით)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


სექტემბერში, გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით, სესხების წლიური ზრდის ტემპი 2.1 პპ-ით დაჩქარდა და 16.9% შეადგინა. საკრედიტო აქტივობის ზრდის დაჩქარება დიდწილად უცხოური ვალუტით დაკრედიტებამ განაპირობა. კერძოდ, დოლარში სესხების ზრდის ტემპი 4.5 პპ-ით, 19.3%-მდე გაიზარდა, ხოლო მისი წვლილი მთლიან საკრედიტო ზრდაში 1.8 პპ-ით, 8.1 პპ-მდე. ამავდროულად, ეროვნული ვალუტით დაკრედიტების ზრდის ტემპი 0.4 პპ-ით გაიზარდა და 15.2% შეადგინა, ხოლო მისი წვლილი მთლიან საკრედიტო ზრდაში 0.2 პპ-ით გაიზარდა და 8.9 პპ შეადგინა. საკრედიტო პორტფელის მიზნობრიობის მიხედვით, დაკრედიტების ზრდის ტემპის მატება ძირითადად ბიზნესის სესხებმა განაპირობა. კერძოდ, მთლიან საკრედიტო ზრდაში ბიზნესსესხების წვლილი 1.6 პპ-ით, 8.4 პპ-მდე, ხოლო სამომხმარებლო სესხების წვლილი 0.3 პპ-ით, 4.7 პპ-მდე და იპოთეკის 0.2 პპ-ით 3.2%-მდე გაიზარდა.

სესხების წლიური ზრდის ტემპი (წვლილი ზრდაში; კურსის ეფექტის გამორიცხვით)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სესხები მიზნობრიობის მიხედვით (წვლილი ზრდაში; კურსის ეფექტის გამორიცხვით)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სექტემბერში, სესხების საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი, წინა თვესთან შედარებით, 0.8 პპ-ით 13.1%-მდე შემცირდა. კერძოდ, ეროვნული ვალუტით გაცემულ კრედიტებზე საპროცენტო განაკვეთი 0.4 პპ-ით, 15.6%-მდე, ხოლო უცხოური ვალუტით გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი 0.2 პპ-ით 9.1%-მდე შემცირდა.

საპროცენტო განაკვეთები იურიდიულ პირებზე გაცემულ სესხებზე (ნაკადი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საპროცენტო განაკვეთები იპოთეკურ სესხებზე (ნაკადი)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სექტემბერში, იურიდიული პირების საპროცენტო განაკვეთები ეროვნული ვალუტით 0.2 პპ-ით 12.6% მდე შემცირდა. ამავდროულად, იურიდიული პირების უცხოური ვალუტის სესხების საპროცენტო განაკვეთი 0.1 პპ-ით შემცირდა და 9.4% შეადგინა. რაც შეეხება იპოთეკურ სესხებს, საპროცენტო განაკვეთები ეროვნულ ვალუტაში 0.3 პპ-ით 10.9%-მდე, ხოლო უცხოური ვალუტის საპროცენტო განაკვეთი უმნიშვნელოდ, 0.03 პპ-ით, 7.6%-მდე შემცირდა.


სექტემბერში, მთლიანი საკრედიტო პორტფელის დოლარიზაციამ 41.5% შეადგინა. იურიდიული პირების სესხების დოლარიზაცია, წინა თვესთან შედარებით 0.7 პპ-ით გაიზარდა და 67.2% შეადგინა. ხოლო ფიზიკური პირების სესხების დოლარიზაცია 0.1 პპ-ით 20.3%-მდე გაიზარდა. სექტემბერში, ვადაგადაცილებული სესხები, წინა თვესთან შედარებით, 0.3 მლრდ ლარით შემცირდა და 597.1 მლნ ლარს გაუტოლდა. ვადაგადაცილებული სესხების 45.7% ეროვნული ვალუტით არის დენომინირებული.

დოლარიზაცია (კურსის ეფექტის გამორიცხვით)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ვადაგადაცილებული დავალიანება




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საგარეო სექტორი

2026 წლის სექტემბერში საქონლის რეგისტრირებული საგარეო ვაჭრობის დეფიციტი წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით 24.6%-ით გაიზარდა და -1.1 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. აღნიშნულ პერიოდში საქონლის იმპორტი წლიურად 15.3%-ით გაიზარდა და 1.8 მლრდ აშშ დოლარს გაუტოლდა, ხოლო ექსპორტი 4.0%-ით გაიზარდა და 731.5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. აქედან, მსუბუქი ავტომობილების კონტრიბუციამ ექსპორტის ცვლილებაში -13.4 პროცენტული პუნქტი (პპ), ხოლო იმპორტის ცვლილებაში -8.6 პპ შეადგინა. აღსანიშნავია, რომ მსუბუქი ავტომობილების რეექსპორტის გამოკლებით, საქონლის იმპორტის რეალურმა წლიურმა ზრდამ 13.7%, ხოლო ექსპორტის რეალურმა ზრდამ 18.2% შეადგინა.


ამასთან, ადგილობრივი ექსპორტის ზრდა 2026 წლის სექტემბერშიც გაგრძელდა და წლიური 41.0%-იანი ზრდის შედეგად, 470.7 მლნ აშშ დოლარს გაუტოლდა.

საქონლის ექსპორტ-იმპორტისა და სავაჭრო ბალანსის დინამიკა (მლნ აშშ დოლარი)



წყარო: საქსტატი

სავაჭრო ბალანსი ქვეყნების მიხედვით (სექტემბერი, 2026)




წყარო: საქსტატი

იმპორტი - სექტემბრის იმპორტის ზრდა ძირითადად შუალედური მოხმარების საქონელმა განაპირობა, რომლის კონტრიბუციამ მთლიანი იმპორტის ზრდაში 10.5 პპ შეადგინა. დადებითი წვლილი შეიტანა სამომხმარებლო საქონლის იმპორტმაც, რომლის კონტრიბუცია 5.1 პპ იყო. საპირისპიროდ, საინვესტიციო დანიშნულების საქონლის იმპორტი მცირედით კლების მიმართულებით მოქმედებდა -0.3 პპ წვლილით.

შუალედური მოხმარების საქონლის იმპორტის ზრდა ძირითადად ნედლი ნავთობის იმპორტის მატებით იყო განპირობებული.


სამომხმარებლო საქონელში ერთი მხრივ, მნიშვნელოვნად შემცირდა მსუბუქი ავტომობილების იმპორტი, რომლის კონტრიბუციამ აღნიშნული ტიპის საქონლის იმპორტში -14.1 პპ შეადგინა. მეორეს მხრივ, გაიზარდა ნავთობპროდუქტების იმპორტი.

საქონლის იმპორტი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით (წვლილი ზრდაში)



წყარო: საქსტატი

საქონლის იმპორტი (წილი მთლიან იმპორტში)



წყარო: საქსტატი

ქვეყნების ჯგუფის ჭრილში, სექტემბრის იმპორტის წლიურ ცვლილებაში ევროკავშირის ქვეყნები ზრდის მიმართულებით მოქმედებდა, 3.0 პპ წვლილით. აღნიშნული ქვეყნების ჯგუფში, სასაქონლო ჭრილში, გაზრდილია ნავთობპროდუქტების იმპორტი. მეორეს მხრივ, კლებას განაგრძობდა მსუბუქი ავტომობილების იმპორტი. შედეგად, ევროკავშირის წილი ავტომობილების მთლიან იმპორტში წლიურად 26.0%-დან 12.9%-მდე შემცირდა.


ქვეყნებს შორის იმპორტის ზრდის მიმართულებით ყველაზე დიდი წვლილი ლიბიას ჰქონდა, რაც ნედლი ნავთობის იმპორტმა განაპირობა. ასევე გაზრდილია იმპორტი ჩინეთიდან, იაპონიიდან და თურქეთიდან. საპირისპიროდ, შემცირებულია აშშ-დან იმპორტზე დანახარჯები (მსუბუქი ავტომობილების გამო).

თურქეთიდან იმპორტის ზრდა ძირითადად ნავთობპროდუქტების შემოტანას უკავშირდება. ჩინეთიდან გაიზარდა სამრეწველო საქონლის იმპორტი. იაპონიიდან გაიზარდა მსუბუქი ავტომობილების იმპორტი.

აღნიშნულ თვეში, ევროკავშირსა და 4 ძირითად სავაჭრო პარტნიორ ქვეყანაზე მთლიანი იმპორტის 71.5% მოდიოდა.


აღსანიშნავია, რომ პროდუქტების ჭრილში, სექტემბერში იმპორტირებულ საქონელში წამყვანი წილი ნავთობპროდუქტებისა და მსუბუქი ავტომობილების იმპორტს ეკავა. მაღალი წილის მიუხედავად, მსუბუქ ავტომობილებს კლებაში ყველაზე მაღალი წვლილი ჰქონდა.

ქვეყნების წილი საქონლის იმპორტში (სექტემბერი, 2026)




წყარო: საქსტატი

საქონლის იმპორტის წლიური ზრდა (მსუბუქი ავტომობილების რეექსპორტის გამოკლებით)




წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშება

საქონლის ექსპორტის წლიური ზრდა (მსუბუქი ავტომობილების რეექსპორტის გამოკლებით)



წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშება

საქონლის ექსპორტი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით (წვლილი ზრდაში)




წყარო: საქსტატი

ექსპორტი - სექტემბერში საქონლის რეგისტრირებული ექსპორტის წლიური ზრდა შუალედური მოხმარების საქონლის ექსპორტის ზრდამ განაპირობა (4.5 პპ კონტრიბუციით), ხოლო საინვესტიციო და სამომხმარებლო საქონლის ექსპორტი შემცირების მიმართულებით მოქმედებდა, შესაბამისად, -0.4 პპ და -0.1 პპ კონტრიბუციით.

სამომხმარებლო საქონლის ჯგუფიდან გაზრდილია ნავთობპროდუქტების ექსპორტი, ხოლო მსუბუქი ავტომობილების რეექსპორტი განაგრძობდა შემცირებას, აღნიშნული ტიპის საქონლის ექსპორტში -19.1 პპ წვლილით.


შუალედური მოხმარების საქონლის ჯგუფიდან გაზრდილი იყო ადგილობრივი წარმოების პროდუქტების, ძვირფასი ლითონების მადნებისა და მინერალური სასუქების ექსპორტი.

საქონლის ექსპორტი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით (სექტემბერი 2026, წილი ექსპორტში)



წყარო: საქსტატი

ქვეყნების წილი საქონლის ექსპორტში (სექტემბერი, 2026)



წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშება

ქვეყნების ჯგუფის ჭრილში, სექტემბრის ექსპორტის წლიურ ცვლილებაში, ევროკავშირის ქვეყნებიდან მიღებული საექსპორტო შემოსავლების წვლილმა -6.8 პპ შეადგინა. ეს ძირითადად თხილის, ფეროშენადნობებისა და ძვირფასი ლითონების მადნების ექსპორტის კლებას უკავშირდებოდა.

ამავე პერიოდში, ქვეყნებს შორის, საექსპორტო შემოსავლები ძირითადად სირიიდან გაიზარდა (ნავთობპროდუქტების ექსპორტის შედეგად). თუმცა ექსპორტი ცენტრალური აზიის ქვეყნებში შემცირებულია, მსუბუქი ავტომობილების რეექსპორტის კლების გამო.


სექტემბერში საქონლის ექსპორტის უდიდესი წილი მსუბუქ ავტომობილებს (24.8%-იანი წილი მთლიან ექსპორტში) ეჭირა. საექსპორტო პროდუქტებიდან გაზრდილია ნავთობპროდუქტებისა და ძვირფასი ლითონების მადნების ექსპორტიდან მიღებული შემოსავლები.

წინა წელთან შედარებით სასაქონლო ჯგუფების მიხედვით ექსპორტი უფრო მეტად დივერსიფიცირებული იყო.

ფულადი გზავნილები - სექტემბერში საქართველოში გადმორიცხული ფულადი გზავნილების მოცულობა წლიურად 10.1%-ით, 285.8 მლნ აშშ დოლარამდე, შემცირდა. ხოლო საქართველოდან გადარიცხული თანხების მოცულობა 3.5%-ით, 38.2 მლნ აშშ დოლარამდე. კლებაში წამყვანი კონტრიბუცია რუსეთიდან მიღებულმა ფულადმა გზავნილებმა (-10.0 პპ) შეიტანა წლიური 80.1%-იანი შემცირებით. გზავნილები ევროკავშირიდან 0.6%-ით შემცირდა, ხოლო წვლილმა ზრდაში -0.3 პპ შეადგინა. 6.2%-იან ზრდას განაგრძობდა აშშ-დან მიღებული გზავნილები (კონტრიბუცია 1.2 პპ).


სექტემბრის ფულადი გზავნილების ძირითად წყაროს ევროკავშირის ქვეყნები (50.2%), აშშ (22.2%) და ისრაელი (9.2%) წარმოადგენდა. რუსეთის წილი ფულად გზავნილებში 2.7%-მდე შემცირდა. ევროკავშირის ქვეყნებიდან აღსანიშნავია იტალიის (18.9%), გერმანიის (10.7%) და საბერძნეთის (9.6%) მაღალი წილი.

ქვეყნების წილი სწრაფ ფულად გზავნილებში (სექტემბერი 2026)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფულადი გზავნილების ზრდა (წვლილი ზრდაში ქვეყნების მიხედვით)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სავალუტო ბაზარი


სექტემბერში წინა თვესთან შედარებით, ლარის საშუალო გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 2.6177-დან 2.6114-მდე (0.2%-ით), ხოლო ევროს მიმართ 3.0330-დან 3.0086-მდე (0.8%-ით) გამყარდა. თვის ბოლოს ლარის ოფიციალურმა გაცვლითმა კურსმა აშშ დოლარისა და ევროს მიმართ 2.6051 და 2.9552 შეადგინა. აღნიშნულ პერიოდში ლარი-დოლარის გაცვლითი კურსის მაქსიმალური მნიშვნელობა 2.6250 იყო, მინიმალური კი - 2.6051.

ლარის ნომინალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარისა და ევროს მიმართ



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ლარი/დოლარის გაცვლითი კურსის ყოველთვიური მერყეობის დიაპაზონი




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სექტემბერში, საშუალო კურსთან შედარებით, გაცვლითი კურსის მაქსიმალური მნიშვნელობა მინიმალურზე მეტად იყო გადახრილი.


სექტემბერში, საშუალოდ დოლართან მიმართებაში, თურქულმა ლირამ, როგორც თვის, ასევე წლიურ ჭრილში გაუფასურება განაგრძო. შესამჩვევად გაუფასურდა რუსული რუბლი, ასევე ევრო. როგორც თვის, ასევე წლიურ ჭრილში გამყარდა სომხური დრამი, აზერბაიჯანული მანათი კი პრაქტიკულად არ შეცვლილა. რაც შეეხება ლარს, გამყარება შეინიშნება როგორც თვიურ, ასევე წლიურ დონეზე. შედეგად, ლარის ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი გამყარდა (NEER) როგორც თვიურ, ისე წლიურ ჭრილში. კერძოდ, სექტემბერში წლიურად 6.7%-ით, თვის ჭრილში კი 1.0%-ით გამყარდა.

თვის განმავლობაში საშუალო კურსიდან გადახრა (ლარი/დოლარი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ძირითადი სავაჭრო პარტნიორების საშუალო თვიური გაცვლითი კურსების[2] თვიური ცვლილება დოლართან მიმართებაში, (სექტემბერი, 2026; ზრდა=გაუფასურება)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


რაც შეეხება ლარის რეალურ ეფექტურ გაცვლით კურსს (REER), სექტემბერში იგი წლიურად 4.0%-ით, თვის ჭრილში კი 0.6%-ით გამყარდა. REER-ის გამყარებას დიდწილად NEER-ის გამყარება განაპირობებდა. მეორე მხრივ, წლის ჭრილში ცალკეულ ქვეყნებთან (მათ შორის თურქეთთან) ინფლაციათა მაღალი დიფერენციალი REER-ზე გაუფასურების მიმართულებით აისახებოდა.

[2] წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი https://nbg.gov.ge/statistics/statistics-data

ზოგადად, ეფექტური კურსის გამყარება ქვეყნის კონკურენტუნარიანობაზე უარყოფითად აისახება, თუმცა იმპორტულ ინფლაციაზე შემცირების მიმართულებით მოქმედებს.


გლობალურად მომატებული გაურკვევლობის და გაზრდილი ინფლაციური რისკების ფონზე ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების ინფლაციები გაიზარდა.

ლარის ნომინალური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსის ინდექსები (იან.2020=100)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების ინფლაციები (სექტემბერი, 2026)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სავალუტო ბაზრის ტენდენციები


სექტემბერში ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე მონაწილეობდა 16 კომერციული ბანკი, 2 მიკრობანკი და 9[3] არასაბანკო ორგანიზაცია. სავალუტო ბაზრის მაჩვენებლების მიხედვით ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი დაბალ დონეზე ნარჩუნდება, რაც სავალუტო ბაზრის დაბალ კონცენტრაციასა და მონაწილეებს შორის აქტივობის შედარებით დივერსიფიცირებულ განაწილებაზე მიუთითებს. აღნიშნული კი სავალუტო ბაზრის მაღალი კონკურენტულობის ერთ-ერთი ინდიკატორია.

ბანკთაშორისი სავალუტო ბაზრის მთლიანი სავაჭრო ბრუნვა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ბანკთაშორისი სავალუტო ბაზრის კონცენტრაციის მაჩვენებლები 5 ყველაზე აქტიური ორგანიზაციის წილების მიხედვით




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სექტემბერში ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე ვაჭრობის მოცულობა წლიურად გაზრდილია, ხოლო თვის ჭრილში - შემცირებული. აღნიშნულ თვეში აშშ დოლარი/ლარის ვაჭრობის მთლიანმა ბრუნვამ 381.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა თვესთან შედარებით 264.4 მლნ აშშ დოლარით ნაკლები, ხოლო წინა წლის სექტემბერთან შედარებით - 177.3 მლნ აშშ დოლარით მეტია. ბაზრის მონაწილეებს შორის დადებული გარიგებების რაოდენობა წინა თვესთან შედარებით 18.8%-ით, წლიურად კი 5.8%-ით გაიზარდა.

[3] რომლებიც მონაწილეობენ ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე დადებულ გარიგებებში.

სექტემბერში სავალუტო ბაზარზე ყიდვა-გაყიდვების აქტივობები (უცხოური ვალუტით ლარის შეძენა და პირიქით განხორციელებული ტრანზაქციები) თითქმის მთლიანად სპოტ[4] გარიგებებით ხდებოდა (98.6%) და მთლიანმა ვაჭრობამ 4,674.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წლიურად 1,245.8 მლნ აშშ დოლარით, ხოლო თვის ჭრილში - 197.8 მლნ აშშ დოლარითაა გაზრდილი. სპოტ გარიგებების ძირითადი ნაწილი იურიდიულ პირებსა და შინამეურნეობებზე, მცირე კი - არარეზიდენტ ბანკებზე მოდიოდა. საქართველოს ეროვნული ბანკის წილი მთლიან ვაჭრობაში 5.3% იყო. წესებზე დაფუძნებული ორმხრივი ინტერვენციების მექანიზმის გამოყენებით, თვის განმავლობაში, ეროვნული ბანკის წმინდა შესყიდვამ 248.5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.


სებ–ის მონაწილეობა სავალუტო ბაზარზე



*ანგარიშსწორების თარიღით

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სპოტ გარიგებებით უცხოური ვალუტით ვაჭრობა



* გრაფიკზე წარმოდგენილი სიდიდეები ასახავს უცხოური ვალუტით ლარის შეძენისა და პირიქით განხორციელებული ტრანზაქციების ბრუნვებს


წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სექტემბერში სპოტ გარიგებებით კომერციული ბანკებისგან დანარჩენი ეკონომიკური აგენტების მიერ უცხოურ ვალუტაზე გაზრდილია როგორც მოთხოვნა, ასევე მიწოდება.

საერთო ჯამში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, სექტემბერში სპოტ გარიგებებით კომერციული ბანკებისგან დანარჩენი ეკონომიკური აგენტების მიერ უცხოურ ვალუტაზე მოთხოვნა წლიურად 630.7 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა (თვის ჭრილში 41.4 მლნ აშშ დოლარით) და 2,316.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ხოლო მიწოდება წლიურად 615.1 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა (თვის ჭრილში 156.4 მლნ აშშ დოლარით) და 2,357.8 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. სპოტ გარიგებებით ვალუტის შეძენაში ყველაზე დიდი წილი როგორც შეძენაში, ასევე გაყიდვაში იურიდიულ პირებზე მოდიოდა.

სექტემბერში სავალუტო ფორვარდ[5] გარიგებებით (უცხოური ვალუტით ლარის შეძენა და პირიქით განხორციელებული ტრანზაქციები) კომერციულ ბანკებსა და სხვა ეკონომიკურ აგენტებს შორის უცხოური ვალუტით ვაჭრობა წლიურად 3.6 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა (თვის ჭრილში - 14.3 მლნ აშშ დოლარით) და 64.8 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ფორვარდ გარიგებებით ვაჭრობის ძირითადი ნაწილი არარეზიდენტ ბანკებზე მოდიოდა. ფორვარდ გარიგებებით დანარჩენი ეკონომიკური აგენტების მიერ ბანკებისგან უცხოური ვალუტის წმინდა შეძენამ 9.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.


სპოტ გარიგებებით შეძენილი და გაყიდული უცხოური ვალუტა



* გრაფიკზე წარმოდგენილი სიდიდეები ასახავს უცხოური ვალუტით ლარის შეძენისა და პირიქით განხორციელებული ტრანზაქციების ბრუნვებს

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფორვარდ გარიგებებით უცხოური ვალუტით ვაჭრობა



* გრაფიკზე წარმოდგენილი სიდიდეები ასახავს უცხოური ვალუტით ლარის შეძენისა და პირიქით განხორციელებული ტრანზაქციების ბრუნვებს


წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

[4] სპოტ გარიგება ხდება იმავდროული ვალუტირებით, იმ დროისთვის არსებული კურსით.

[5] სავალუტო ფორვარდული კონტრაქტი არის ფართოდ მოხმარებადი ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც გამოიყენება სავალუტო რისკების ჰეჯირებისათვის (დაზღვევისათვის). ფორვარდი იძლევა შესაძლებლობას, წინასწარ განსაზღვრული კურსით, დღეს დაიდოს სავალუტო გარიგება ხოლო შესაბამისი ანგარიშსწორება განხორციელდეს მომავალში.


სექტემბრის მდგომარეობით, წინა თვესთან შედარებით, ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები 26.5 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა. რეზერვების მთლიანმა მოცულობამ კი ისტორიულად მაღალ მაჩვენებელს, 8.2 მლრდ აშშ დოლარს მიაღწია. რეზერვებზე ზრდის მიმართულებით მთავრობის მიერ მიღებული სავალუტო ჩარიცხვები, რეზერვებზე საპროცენტო შემოსავლები და სავალუტო ინტერვენციების საშუალებით უცხოური ვალუტის წმინდა შეძენა, ხოლო შემცირების მიმართულებით - მთავრობის სავალუტო ხარჯები (სესხის მომსახურება) მოქმედებდა. ასევე თვის განმავლობაში საერთაშორისო ბაზარზე ოქროს ფასი შემცირდა, რის ფონზეც ოქროს გადაფასების გამო საერთაშორისო რეზერვები 97.3 მლნ აშშ დოლარით შემცირდა.

ეროვნული ბანკის ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მთლიანი საერთაშორისო რეზერვების თვიური ცვლილება (მიმდინარე კურსით)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფულადი ბაზარი

სექტემბერში საქართველოს ეროვნულმა ბანკმა, საბანკო სისტემაში დაგროვილი ჭარბი ლიკვიდობის გათვალისწინებით, 3-თვიან სადეპოზიტო სერტიფიკატებთან ერთად, 1-კვირიანი და 1-თვიანი სადეპოზიტო სერტიფიკატებიც გამოუშვა. ჯამში ჩატარდა სადეპოზიტო სერტიფიკატების ექვსი აუქციონი, რომელთა ფარგლებშიც განთავსდა 645 მლნ ლარის მოცულობის ოთხი 1-კვირიანი, 211 მლნ ლარის მოცულობის ერთი 1-თვიანი და 5 მლნ ლარის მოცულობის ერთი 3-თვიანი სადეპოზიტო სერტიფიკატი. განთავსებული სერტიფიკატების ჯამურმა მოცულობამ 861 მლნ ლარი შეადგინა. ამავე პერიოდში დაიფარა 395 მლნ ლარის მოცულობის სამი 1-კვირიანი, 200 მლნ ლარის მოცულობის ერთი 1-თვიანი და 20 მლნ ლარის მოცულობის ერთი 3-თვიანი სადეპოზიტო სერტიფიკატი. დაფარული სერტიფიკატების ჯამურმა მოცულობამ 615 მლნ ლარი შეადგინა. შესაბამისად, წინა თვესთან შედარებით, სადეპოზიტო სერტიფიკატების ნაშთი 246 მლნ ლარით გაიზარდა და სექტემბრის ბოლოს 571 მლნ ლარი შეადგინა.


სექტემბერში სახაზინო ფასიანი ქაღალდების ექვსი აუქციონი ჩატარდა. აღნიშნულ აუქციონებზე ჯამში 180.0 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები განთავსდა. ჩატარებულ აუქციონებზე გაიყიდა 6-თვიანი, ერთწლიანი, სამწლიანი, ხუთწლიანი, რვაწლიანი და ათწლიანი ვადიანობის სახაზინო ფასიანი ქაღალდები, რომლებიც, შესაბამისად, 20, 20, 40, 40, 30 და 30 მლნ ლარის ოდენობით განთავსდა. **სახაზინო ფასიანი ქაღალდების ნაშთი წინა თვესთან შედარებით 147.4 მლნ ლარით გაიზარდა და 12,830.4 მლნ ლარი შეადგინა. აღსანიშნავია, რომ მას შემდეგ, რაც აგვისტოში სებ-მა მის მფლობელობაში არსებული სახაზინო ფასიანი ქაღალდები მეორად ბაზარზე სრულად გაყიდა, სექტემბერში სახაზინო ფასიანი ქაღალდების მთლიან პორტფელში ეროვნული ბანკის წილი ნულს უტოლდებოდა. ამჟამად, მთლიანი პორტფელის 67.5%-ს კომერციული ბანკები ფლობენ, 20.7%-ს — სხვა რეზიდენტები, ხოლო 11.8%-ს — არარეზიდენტები.**

სადეპოზიტო სერტიფიკატების მოცულობა (ნაკადი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


სახაზინო ფასიანი ქაღალდების მოცულობა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


სექტემბერში სადეპოზიტო სერტიფიკატების საპროცენტო განაკვეთი არ შეცვლილა. სექტემბრის ბოლოს სადეპოზიტო სერტიფიკატების საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი 8.2%-ს შეადგენდა, რაც წინა თვის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს უტოლდებოდა. ამავე პერიოდში, ფაქტობრივად არ შეცვლილა 6-თვიანი, 1-წლიანი, 3-წლიანი და 5-წლიანი სახაზინო ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთები. 0.1 პპ-ით შემცირდა 8-10-წლიანი სახაზინო ობლიგაციების საპროცენტო განაკვეთი და შემცირების შემდეგ 8.9%-ს გაუტოლდა.

ფულადი ბაზრის საპროცენტო განაკვეთები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ლარის შემოსავლიანობის მრუდი




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სექტემბერში ბანკთაშორისი ფულადი ბაზრის მოცულობა თვის ჭრილში 28.0 მლნ ლარით, 21,447.9 მლნ ლარამდე გაიზარდა (თუმცა, წლიურად 924.8 მლნ ლარით შემცირდა), რაც მთლიანად უცხოური ვალუტის რესურსით არის განპირობებული. ბანკთაშორისი ფულადი ბაზრის დიდი წილი უცხოური ვალუტის ბრუნვაზე მოდის (75.4%), რომლის მოცულობაც თვის ჭრილში 504.4 მლნ ლარით (3.2%-ით) გაიზარდა. ლარის რესურსის ბრუნვის მოცულობამ კი, პირიქით, თვის ჭრილში 476.4 მლნ ლარით (8.3%-ით) მოიკლო.

რაც შეეხება საპროცენტო განაკვეთებს, ბანკთაშორის ბაზარზე ლარის საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი თვის ჭრილში 0.1 პპ-ით შემცირდა და 7.9% შეადგინა. 0.2 პპ-ით შემცირდა უცხოური ვალუტის საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი და 1.7%-ს გაუტოლდა.

აღსანიშნავია, რომ სექტემბერში ფულადი ბაზრის რესურსის 31.3% ერთ თვემდე ვადიანობის დეპოზიტებზე, ხოლო 68.4% კი მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებულ რესურსზე მოდიოდა.

ბანკთაშორისი ფულადი ბაზარი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


მონეტარული აგრეგატები

სექტემბერში, წინა თვესთან შედარებით, სარეზერვო ფულის მოცულობა 63.4 მლნ ლარით (0.7%-ით) შემცირდა და პერიოდის ბოლოსთვის, 9.4 მლრდ ლარი შეადგინა. საშუალო მაჩვენებლის მიხედვით კი, წინა თვესთან შედარებით, 280.4 მლნ ლარით (2.9%-ით) შემცირდა.

სექტემბერში სავალუტო აუქციონების გამოყენებით ეროვნულ ბანკს ოპერაციები არ განუხორციელებია. BMatch პლატფორმის წესებზე დაფუძნებული მექანიზმის გამოყენებით ეროვნული ბანკის წმინდა სავალუტო შესყიდვებმა თვის განმავლობაში 248.5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ამასთან, შიდა სამთავრობო კონვერტაციებით ეროვნული ბანკის წმინდა სავალუტო შესყიდვებმა 123.9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. აღნიშნული ოპერაციების შედეგად, წმინდა უცხოური აქტივები 372.4 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა.


სექტემბერში მთავრობის დეპოზიტებზე არსებული სახსრები 16.4 მლნ ლარით გაიზარდა და მისი მოცულობა პერიოდის ბოლოსთვის, 1,015.5 მლნ ლარს გაუტოლდა.

სარეზერვო ფულის თვიური ცვლილება კომპონენტების მიხედვით



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფულადი აგრეგატები




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სექტემბერში ნაღდ ფულზე მოთხოვნა 167.2 მლნ ლარით შემცირდა. ამასთან რეფინანსირების სესხების მოცულობა, წინა თვესთან შედარებით, 50.0 მლნ ლარით შემცირდა. ერთდღიანი სესხის ნაშთი კი 40.0 მლნ ლარით შემცირდა. სექტემბრის მდგომარეობით, სადეპოზიტო სერტიფიკატების ნაშთმა კი 571 მლნ ლარი შეადგინა. მთლიანობაში, სექტემბერში ბანკების წმინდა დავალიანების მოცულობა 336.6 მლნ ლარით შემცირდა და პერიოდის ბოლოსთვის, 278.9 მლნ ლარს გაუტოლდა.


სექტემბერში ფართო ფულის M3 აგრეგატის მოცულობა თვიურად 1.4 მლრდ ლარით, ხოლო M2 აგრეგატის მოცულობა კი დაახლოებით 0.7 მლრდ ლარით გაიზარდა.

საბანკო სექტორის ლიკვიდობაზე მოქმედი ფაქტორები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მონეტარული ოპერაციები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საქართველოს ეროვნული ბანკი 0114, ზვიად გამსახურდიას სანაპირო N1
ტელ: 240 64 88; ფაქსი: 240 65 77; ცხელი ხაზი: 240 64 06
ელ ფოსტა: info@nbg.ge; www.nbg.ge

